საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სამანგებო
სიტუაციების მართვის სამსახურის
სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო
უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
STATE SUBORDINATE ENTITY - EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE
LEPL STATE RESERVES AND CIVIL
PROTECTION SERVICES AGENCY

09/11/2026

MIA 6 26 04066151

შპს "არ ემ ჯი გოლდის" დირექტორს,
ჯონდო შუბითიძეს

ბატონო ჯონდო,

თქვენი, 21 ოქტომბრის N3806915 განაცხადის საფუძველზე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტორებმა, ჩაატარეს დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ დმანისში მდებარე (ს/კ: 82.12.45.395), შპს "არ ემ ჯი გოლდი"-ს (ს/ნ: 225359947) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების მიწისქვეშა საწყობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება(ფართი:1235,3 კვ.მ.).

შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41, 2015 წლის 23 ივლისის N370, 2013 წლის 31 დეკემბრის №432 დადგენილებებით, დამტკიცებული რეგლამენტის და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სხვა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ობიექტის ფუნქციური დანიშნულების და შემოწმების შედეგების გათვალისწინებით საჭიროა შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება:

1. ობიექტზე დასამონტაჟებელია ავტომატური ასპირაციული ან კომბინირებული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა, სიგნალის მიმღებ-მაკონტროლებელ პულტზე (პანელი) კონტროლი უნდა განხორციელდეს 24 საათის განმავლობაში. პანელთან უნდა გამოიკრას ინსტრუქცია ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და პერსონალის მოქმედების წესის შესახებ, აღნიშნული სათავსი აღიჭურვოს ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არანაკლებ 3 გამართული ელექტრო ფარნით.
2. ობიექტზე დასამონტაჟებელია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა ტონირებული სიგნალისა და მაშუქის მქონე მაუწყებლებით, რომელიც ინტეგრირებული უნდა იქნას სახანძრო სიგნალიზაციის სისტემასთან.

KMG Gold LLC
№ 126.167
"10" 11 2026
ფურც. 3

3300. მცხეთა, ფარნავაზ მეფის N-1
ტელ: (+995 32) 241 41 12
ელ.ფოსტა: service@es.gov.ge

1, Pharnavaz Mepe str. Mtskheta 3300, Georgia
Tel: (+995 32) 241 41 12
E-Mail: service@es.gov.ge

125.425

3. ობიექტზე დასამონტაჟებელია დრენჩერული ტიპის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემა, სატუმბო სადგურის მოწყობითა და შესაბამისი წყლის მოცულობის რეზერვუარით, რომელის ამოქმედება შესაძლებელი იქნება მექანიკურადაც.
აკრძალულია ისეთი ნივთიერებების და მასალების დასაწყობება, რომლებიც რეაქციაში შედიან წყალთან.
4. გვირაბში მოსაწყობია შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემა სახანძრო ონკანების მონტაჟით და მათი განთავსების ადგილები უნდა აღინიშნოს შესაბამისი ნიშნებით.
5. ობიექტზე დასამონტაჟებელია ნაპერწკალუსაფრთხო, ავტონომიური კვების წყაროს მქონე საევაკუაციო „გასასვლელი"-ს და "მიმართულების" მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები.
6. ობიექტის საევაკუაციო გზებზე მოსაწყობია ნაპერწკალუსაფრთხო, ავტონომიური კვების წყაროს მქონე ავარიული განათება.
7. ობიექტი დასაკომპლექტებელია საჭირო რაოდენობის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით „ცეცხლმაქრებით" ზღვრული დასაცავი ფართობის და ცეცხლმაქრის ტიპის გათვალისწინებით. ცეცხლმაქრები უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილზე.
8. ფეთქებადი მასალების საწყობებისათვის მეხდაცვა უნდა მოეწყოს მეხდაცვის დაპროექტების, მოწყობისა და ექსპლუატაციის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით;
მეხდაცვის შემოწმებისას უნდა ჩატარდეს მეხდაცვის მოწყობილობის დათვალიერება და დამამიწებლების წინაღობის გაზომვა, რომელიც უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ და დათვალიერების შედეგები უნდა გაფორმდეს ოქმით;
საწყობში მეტალის კონსტრუქციების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნას მათი დამიწება.
9. ელექტროსადენები გაყვანილ უნდა იქნას არაწვადი იზოლაციის ჯავშნიანი სადენებით.
10. საწყობებისთვის მოსაწყობია არანაკლებ 3 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარი.
11. საწყობის მიმდებარედ არაუმეტეს 200 მეტრის მანძილზე გამართული/მუშა სახანძრო ჰიდრანტის არ არსებობის შემთხვევაში ტერიტორიაზე მოეწყოს სახანძრო ჰიდრანტი, ხოლო გარე წყალმომარაგების ქსელის არარსებობის შემთხვევაში მოეწყოს შესაბამისი მოცულობის წყლის რეზერვუარი სახანძრო მანქანის მისაერთებელი მილყელით (ან სახანძრო მანქანის მიერ წყლის აღების შესაძლებლობებით).
12. ფეთქებადი მასალების მიწისქვეშა საწყობში აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებები უნდა ინახებოდეს მათი თავსებადობის მიხედვით.
13. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ობიექტის თანამშრომელთაგან უნდა დაინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვასა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი;
14. ობიექტის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით (ჟურნალში დარეგისტრირებით);
15. შენობის საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში უნდა გამოიკრას აბრები საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერით „112".
16. ყველა სისტემა და მოწყობილობა უნდა იყოს ნაპერწკალუსაფრთხო შესრულებით და უნდა გააჩნდეთ სათანადო სერთიფიკატი.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო

სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო
უსაფრთხოების სერვისების სააგენტო
სააგენტოს უფროსი /დეპარტამენტის თავმჯდომარე/
ფანცულაია ზაზა



